ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N7

21.05.2018

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარის არჩევა;

2. სადოქტორო პროგრამაში „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია" პროგრამაზე მიღების ერთ-ერთი პირობისა და პროგრამის განხორციელების ადგილის შეცვლა;

3. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2000 წლის კურსდამთავრებულ ანასტასია ქიტიაშვილის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა;

4. ავტორიზაციის პროცესისათვის მზადების საკითხების განხილვა;

5. დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესში ცვლილებების შეტანა;

6. სამსახურში მიღების საკონკურსო კრიტერიუმებისა და სტრატეგიული გეგმის განხილვა (ახლავს გზავნილს);

7. სადისერტაციო საბჭოში პროფესორების წარდგენის კრიტერიუმების შემუშავება და პროფესორების წარდგენა;

8. პროფესორ ქეთევან ჭკუასელისათვის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ არსებული რეგულაციის გათვალისწინებით კონკურსზე მონაწილეობის უფლების მიცემა.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავჯდომარე: დეკანის მოადგილე, პროფ. ლ. სურმანიძე

მდივანი: ასოც./პროფ. ზ. ქიტიაშვილი

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

ფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი:

მზია წერეთელი, იამზე კუტალაძე

ასოცირებული პროფესორები :

მაია მესტვირიშვილი, ხათუნა მარწყვიშვილი, ანი ქიტიაშვილი, თამარ აბაშიძე, გიორგი გოროშიძე, ირინე ჟვანია, შორენა მამუკაძე.

ასისტენტ პროფესორები:

ირინე გედევანიშვილი

განათლების მეცნიერებათა სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტი:

პროფესორი: ქეთევან ჭკუასელი;

ასოცირებული პროფესორები:

ზაქარია ქიტიაშვილი, იზაბელა პეტრიაშვილი, ეთერ ღვინერია.

სტუდენტური თვითმმართველობის წევრები:

მეგი თავბერიძე, სალომე თოფურია, ეკა ტაბატაძე, პაატა ჯოლბორდი.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა სულ 19 წევრი

განიხილეს:

1.ფაკულტეტის საბჭოს თავჯდომარის არჩევა

ფაკულტეტის საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს განუცხადა, რომ საბჭოს თავჯდომარე, პროფესორი თამარ გაგოშიძე ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო არ იმყოფება საბჭოს სხდომაზე, შესაბამისად, დებულების მიხედვით, საჭიროა, საბჭომ აირჩიოს დროებითი ხელმძღვანელი, რათა სხდომა წარიმართოს საკანონმდებლო რეგულაციების სრული დაცვით. მომხსენებელმა საბჭოს სხდომის თავჯდომარედ წარადგინა პროფესორ ლალი სურმანიძის კანდიდატურა.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ კანდიდატურას და დაამტკიცა ერთხმად:

კენჭი უყარეს:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის რიგით მეშვიდე საბჭოს სხდომის თავჯდომარედ აირჩეს პროფესორი ლალი სურმანიძე.

2. სადოქტორო პროგრამაში „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია“ პროგრამაზე მიღების ერთ-ერთი პირობისა და პროგრამის განხორციელების ადგილის შეცვლა;

პროფესორმა ლალი სურმანიძემ საბჭოს მოახსენა, რომ პროგრამაში „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია“ პროგრამაზე მიღების ერთ-ერთი პირობა და პროგრამის განხორციელების ადგილი შეიცვალა. კერძოდ, ჩანაწერი: „ სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვთ პირებს, რომელთაც აქვთ ბიოლოგიის მაგისტრის ხარისხი ან პირველი საფეხურის სამედიცინო დიპლომი.“ შეიცვალა შემდეგნაირად: „პირებს, რომელთაც აქვთ კლინიკური ან სოციალური და ფსიქოლოგიური სერვისების სფეროში მუშაობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება.“

ასევე, შეიცვალა პროგრამის განხორციელების ადგილი, კერძოდ, ჩანაწერი: „სადოქტორო პროგრამა კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში განხორციელდება ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის კლინიკურ ბაზაზე. მისამართი: ვაჟა-ფშაველას 83/11 , ტელ.: 912947.” შეიცვალა შემდეგი ჩანაწერით: „სადოქტორო პროგრამა კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში განხორციელდება თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის კლინიკურ ბაზაზე. მისამართი: გ. ქუჩიშვილის ქუჩა, #4, ტელ. 2148504“

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებას და დაამტკიცა ერთხმად:

კენჭი უყარეს:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:
სადოქტორო პროგრამაში „კლინიკური ნეიროფსიქოლოგია“ შეიცვალოს ჩანაწერი შემდეგნაირად:

- „სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების უფლება აქვთ პირებს, რომელთაც აქვთ კლინიკური ან სოციალური და ფსიქოლოგიური სერვისების სფეროში მუშაობის მინიმუმ 3-წლიანი გამოცდილება.“
- „სადოქტორო პროგრამა კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში განხორციელდება თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრის კლინიკურ ბაზაზე. მისამართი: გ. ქუჩიშვილის ქუჩა, #4, ტელ. 2148504“

3. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2000 წლის კურსდამთავრებულ ანასტასია ქიტიაშვილის კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა;

პროფესორმა ლალი სურმანიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტზე შემოვიდა წერილი (6811/10, 05.04.2018), რომელშიც სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი გვთხოვს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის მაგისტრატურის 2000 წლის კურსდამთავრებულ ანასტასია ქიტიაშვილის **მინიჭებული აკადემიური ხარისხის დაზუსტებას.**

კერძოდ, თსუ-ს რექტორს განცხადებით მიმართა 2000 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა **ანასტასია ქიტიაშვილმა** რომელიც ითხოვს მის სახელზე დიპლომისა და დანართის ახალი ფორმით დამზადებას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ ანასტასია გიორგის ასული ქიტიაშვილი 1998-1999 სასწავლო წელს (ბრძ. N4/786, 28. 09. 1998 წ.) რეიტინგული მონაცემების მიხედვით ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის საბიუჯეტო განყოფილების მაგისტრატურაში, სპეციალობა - სოციალური ფსიქოლოგია.

2000 წელს (ბრძ. N4/664, 13. 07. 2000 წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დღის უფასო სწავლების სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის 2000 წლის კურსდამთავრებულ ანასტასია გიორგის ასულ ქიტიაშვილს მიენიჭა **ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.**

ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო **საატესტაციო კომისიის** 2000 წლის 24 ივნისის შემაჯამებელი სხდომის **(ოქმი N3)** გადაწყვეტილებით ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის კურსდამთავრებულ ანასტასია გიორგის ასულ ქიტიაშვილს მიენიჭა **მაგისტრის აკადემიური ხარისხი**, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით.
ფაკულტეტმა თსუ-ს არქივიდან გამოითხოვა ფსიქოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურის ზოგადი ფსიქოლოგიის (ოქმიN1, 23.06.2000წ.), ზოგადი ფსიქოლოგიის (ნეიროფსიქოლოგია)(ოქმიN2, 23.06.2000წ.), შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიისა (ოქმიN2, 23.06.2000წ.) და განათლების სისტემის ფსიქოლოგიის (ოქმიN4, 24.06.2000წ.) სპეციალობის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის 2000 წლის შემაჯამებელი სხდომის ოქმების ქსეროასლები. აღნიშნულ ოქმებშიც ყველა სპეციალობის კურსდამთავრებულებს ნაცვლად **ფსიქოლოგიის მაგისტრისა** უფიქსირდებათ **მაგისტრის აკადემიური ხარისხი.**

საქმის წარმოებისას აგრეთვე გამოირკვა, რომ 2000 წელს აღნიშნული ბრძანებით საგანმანათლებლო პროგრამა ანასტასია ქიტიაშვილთან ერთად დაასრულა 17-მა მაგისტრმა (რექტორის მიერ გამოცემული 2000 წლის 13 ივლისის №4/664 ბრძანება აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ).
წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ კურსდამთავრებულთა (ნაწილობრივ) სიას :
„მიენიჭოს **ფსიქოლოგიის მაგისტრის** აკადემიური ხარისხი **სოციალური ფსიქოლოგიის** სპეციალობის დღის სწავლების 2000 წლის კურსდამთავრებულებს:

1. ლაღიძე ნინო გიორგია ას

2. რომანოვა თებრონე თენგიზის ას
3. **ქიტიაშვილი ანასტასია გიორგის ას**
4. ქურდაძე მაკა ილიას ას

ვინაიდან აღნიშნულ ბრძანებაში და ოქმებში მითითებული კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი ერთმანეთს არ ემთხვევა, ფაკულტეტმა უნდა დააზუსტოს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2000 წლის კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი.

შესაბამისად, საჭიროა შევიდეს შესწორება:

2000 წლის 24 ივნისის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის შემაჯამებელი სხდომის ოქმი N3-ში, ასევე ყველა სხვა სპეციალობის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმებში

- ზოგადი ფსიქოლოგიის (ოქმიN1, 23.06.2000წ.),
- ზოგადი ფსიქოლოგიის (ნეიროფსიქოლოგია) (ოქმიN2, 23.06.2000წ.),
- შრომის ფსიქოლოგიისა (ოქმიN2, 23.06.2000წ.)
- განათლების სისტემის ფსიქოლოგიის (ოქმიN4, 24.06.2000წ.) და ყველა სპეციალობის კურსდამთავრებულებს ნაცვლად **მაგისტრის აკადემიური ხარისხისა დაუფიქსირდეთ ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი.**

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხზე და აღნიშნეს, რომ გარდა ქ-ნი ანასტასია ქიტიაშვილისა აღნიშნული რეგულაცია უნდა გავრცელდეს ზემოთ დასახელებულ ყველა კურსდამთავრებულზე.
საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებებს და დაამტკიცა ერთხმად:

კენჭი უყარეს:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: შევიდეს შესწორება ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საატესტაციო კომისიის 2000 წლის 24 ივნისის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის შემაჯამებელი სხდომის ოქმი N3-ში და ნაცვლად მაგისტრის აკადემიური ხარისხისა დაფიქსირდეს **ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, სოციალური ფსიქოლოგიის** სპეციალობით.
2000 წლის 23 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი N1-ში დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობით.
2000 წლის 23 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის (ნეიროფსიქოლოგია) შემაჯამებელი სხდომის ოქმი N2-ში დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობით.
2000 წლის 23 ივნისის შრომის ფსიქოლოგიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი N2-ში დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, შრომის ფსიქოლოგიის სპეციალობით.

2000 წლის 24 ივნისის განათლების სისტემის ფსიქოლოგიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი N4-ში დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხი, განათლების სისტემის ფსიქოლოგიის სპეციალობით.

4. ავტორიზაციის პროცესისათვის მზადების საკითხების განხილვა;

პროფესორმა ლალი სურმანიძემ საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსმა, ასოც. პროფესორმა მანანა მელიქიშვილმა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს დაუგზავნა ავტორიზაციის თვითშეფასების დოკუმენტი, რომლის ძირითადი მახასიათებლების გაცნობა ერთგვარი ვალდებულებაა იმისთვის, რომ საუნივერსიტეტო აკადემიური სივრცე მოემზადოს ავტორიზაციის ექსპერტების ვიზიტისა და ინტერვიუირებისათვის.
საბჭომ მოისმინა სხდომის თავმჯდომარის მოხსენება და მიიღო ცნობად.

5. დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესში ცვლილებების შეტანა;
ასოც. პროფესორმა, ხათუნა მარწყვიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისას მუშაობის პროცესში წარმოქმნილი სირთულეების დასარეგულირებლად საფაკულტეტო კომისია, უნივერსიტეტის რეკომენდაციებზე დაყრდნობით, ფაკულტეტის საბჭოს წარუდგენს დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესში შესატან ცვლილებებს. კერძოდ, დოქტორანტთა დაფინანსების საფაკულტეტო კომისია ითხოვს, თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესის პირველ თანდართულ დოკუმენტში – „სამეცნიერო პუბლიკაციების, განხორციელებული სამეცნიერო–კვლევითი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო აქტივობების ჩამონათვალი". დაზუსტდეს შემდეგი პუნქტები:

- #1Ψ1–დან ამოღებულ იქნას ფორმულირება – SCImago Journal & Country Rank, Research Gate;
- #1Ψ2 და #1Ψ3 გადატანილ იქნას #2Ψ–ში;
- #3Ψ–დან ამოღებულ იქნას #3Ψ2 (სამეცნიერო სტატიები, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში) და #3Ψ2 (ქართველოლოგიური სამეცნიერო მიმართულებებისთვის რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნებული ქართულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომელთაც ჰყავთ ადგილობრივი სარედაქციო საბჭო და აქვთ ISSN კოდი);
- #5Ψ–ში ჩაემატოს #5Ψ2 შემდეგი ფორმულირებით: ქართულენოვანი სახელმძღვანელო ან თავი/თავები სახელმძღვანელოში;
- #9Ψ1–ში მოცემული ფორმულირება – „საზღვარგარეთ გამართული ღონიძიება" შეიცვალოს ფორმულირებით – „ საერთაშორისო ღონისძიება";
- #12Ψ1–ში მოცემული ფორმულირება – „უცხოეთში გამართულ სასწავლო აქტივობაში მონაწილეობა" შეიცვალოს ფორმულირებით – „საერთაშორისო კვალიფიკაციის ასამაღლებელ ან სასწავლო აქტივობაში მონაწილეობა".

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ შეცვლილი დოკუმენტი დანართის სახით დაერთოს საბჭოს ოქმს.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ ცვლილებებს და დაამტკიცა ერთხმად:

კენჭი უყარეს:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:
თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების წესის პირველ თანდართულ დოკუმენტში „სამეცნიერო

პუბლიკაციების, განხორციელებული სამეცნიერო–კვლევითი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო აქტივობების ჩამონათვალი" შევიდეს წარმოდგენილი ცვლილებები და შესწორებაშეტანილი დოკუმენტი დაერთოს დანართად ოქმს.

6. სამსახურში მიღების საკონკურსო კრიტერიუმებისა და სტრატეგიული გეგმის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ, პროფ. ლ. სურმანიძემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმის, აგრეთვე, საკონკურსო კრიტერიუმების პროექტების განხილვა ავტორიზაციისთვის მზადების კონტექსტში მეტად საშური საქმეა და საბჭოს წევრებს სთხოვა, გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები ამ დოკუმენტების განხილვის ფორმატის თაობაზე.

აზრი გამოთქვეს:
პროფ. მზია წერეთელი: ვფიქრობ, ორივე დოკუმენტთან დაკავშირებით ბევრი კითხვა გაჩნდება სხდომის მონაწილეებს შორის, ამიტომ დღეს ზედმიწევნით განხილვის ფორმატს სჯობს, სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებული შენიშვნები თუ რეკომენდაციები შემჭიდროვებულ ვადებში ელექტრონულად მოგაწოდოთ და შემდეგ შენიშვნებგათვალისწინებული სახით გამოვიტანოთ განსახილველად.
ასოც. პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი: სჯობს დაახლოებით ამგვარივე ფორმატით ვიმუშავოთ სამსახურში მიღების საკონკურსო კრიტერიუმების დოკუმენტთან დაკავშირებითაც.

პროფ. ლალი სურმანიძე: მე გთავაზობთ, ინსტიტუტების ბაზაზე, ფაკულტეტის ყველა ინსტიტუტის წარმომადგენლებისგან შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმუშავებს კრიტერიუმების დოკუმენტზე და დასრულებულ ვერსიას განსახილველად წარმოადგენს საბჭოს წინაშე.

საბჭოს წევრებმა მოიწონეს პროფ.-ების, ლ. სურმანიძისა და მ. წერეთლის წინადადებები. პროფ. ლ. სურმანიძის წინადადებით, არაუგვიანეს ერთი დღისა ინსტიტუტების ხელმძღვანელებმა უნდა წარმოადგინონ საკონკურსო კრიტერიუმების შემმუშავებელი ჯგუფის წევრობის თავიანთი კანდიდატები, შესაბამისად, შეიქმნება კრიტერიუმებზე მომუშავე ჯგუფი, ხოლო სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებული მოსაზრებები ელექტრონულად გადაეგზავნოს პროფ. ლალი სურმანიძეს შეჯერებისათვის.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებებს და დაამტკიცა ერთხმად:

კენჭი უყარეს:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0
დაადგინეს:

- ფაკულტეტის სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებული შენიშვნები თუ რეკომენდაციები შემჭიდროვებულ ვადებში ელექტრონულად მიეწოდოს ადმინისტრაციას.

- ინსტიტუტების ხელმძღვანელებმა წარმოადგინონ საკონკურსო კრიტერიუმების შემმუშავებელი ჯგუფის წევრობის თავიანთი კანდიდატები, შესაბამისად, შეიქმნას კრიტერიუმებზე მომუშავე საფაკულტეტო კომისია.

7. სადისერტაციო საბჭოში პროფესორების წარდგენის კრიტერიუმების შემუშავება და პროფესორების წარდგენა.

აზრი გამოთქვეს:
სხდომის თავმჯდომარემ, პროფ. ლ. სურმანიძემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ თსუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო, სადაც ყველა ფაკულტეტმა, მათ შორის, ჩვენმაც უნდა წარადგინოს საბჭოს წევრობის კანდიდატები, რომელთაგან რექტორის მიერ შეირჩევა ერთი კანდიდატი. პროფ. ლ. სურმანიძემ ამ კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმად საბჭოს შესთავაზა სრული პროფესორობა,

მიმართულებაზე ასეთის არარსებობის შემთხვევაში კი ასოც./პროფესორობა, თუ ამ უკანასკნელს აქვს დოქტორანტებთან მუშაობის გამოცდილება.

პროფესორმა ქ. ჭკუასელმა აცილება მისცა თავის კანდიდატურას, რამდენადაც მას უმთავრდება ხელშეკრულება.

სხდომამ იმსჯელა კანდიდატებზე. განათლების მეცნიერებათა მიმართულებამ რეკომენდაცია მისცა ასოც.პროფ.-ს ი. პეტრიაშვილს. ამგვარად, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტიდან საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს კანდიდატებად წარდგენილ იქნეს:

პროფესორები:

1. თამარ გაგოშიძე,
2. ლალი სურმანიძე,
3. იამზე კულტალაძე,
4. მარინე ჩიტაშვილი,
5. მზია წერეთელი,
6. ნანა სუმბაძე
7. ასოც./პროფ. იზაბელა პეტრიაშვილი.

კენჭი უყარეს:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს კანდიდატებად წარდგენილ იქნეს პროფესორები:

1. თამარ გაგოშიძე
2. ლალი სურმანიძე
3. იამზე კულტალაძე
4. მარინე ჩიტაშვილი
5. მზია წერეთელი
6. ნანა სუმბაძე
7. ასოც. პროფ. იზაბელა პეტრიაშვილი.

8. პროფესორ ქეთევან ჭკუასელისათვის, აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ არსებული რეგულაციაზე დაყრდნობით, კონკურსში მონაწილეობის უფლების მიცემა.

საბჭოს მდივანმა, ასოც. პროფესორმა ზაქარია ქიტიაშვილმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ საბჭოს თავმჯდომარის სახელზე შემოსულია განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ქეთევან ჭკუასელის განცხადება, რომელშიც იგი საბჭოს მიმართავს, მიეცეს 2018 წელს გამოსაცხადებელ აკადემიურ კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება.

საბჭომ კენჭი უყარა წარმოდგენილ წინადადებებს და დაამტკიცა ერთხმად:

კენჭი უყარეს:
მომხრე - 19
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პროფესორ ქეთევან ჭკუასელს დაერთოს ნება, მიიღოს მონაწილეობა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში

სხდომის თავმჯდომარე:
პროფ. ლალი სურმანიძე

სხდომის მდივანი:
ასოც. პროფ. ზ. ქიტიაშვილი